დოც. დოქ. ულფეთ გორგულუ

ღირსება და უმანკოება

რსს
მეგობრობა

ლიოსება და უმეხიოება

დოქ. დრ. ულოფეი ვოლგულო

muslim georgia
muslim georgia education
muslim georgia international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن دولي مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

“შუამავალი მასთან მისულ ადამიანთაგან იმედგაცრუებულს არავის გზავნიდა. ის ძალაინ გულუხვი,ძალიან გამგებიანი და ძალიან ყურადღებიანი იყო. მუსლიმებმა ეს იცოდნენ და ნებისმიერი გასაჭირის დროს, მატერიალური იქმებოდა თუ სულიერი, შუამავალთან მისვლას არ ერიდებოდნენ. ერთ დღეს მედინადან რამოდენიმე ადამიანი მივიდა და შუამავლისგან ფულადი დახმარება ითხოვა. შუამავალი მდიდარი არ იყო. ის საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა და რაც ხელთ ჰქონდა გასცემდა. ბუნებრივია ეს მოსულებიც უკან არ გაუბრუნებია. მათაც დაეხმარა. ის უანგაროდ ეხმარებოდა.

შუამავალს ქონება თითქმის აღარ ჰქონდა. რაც გააჩნდა ასე შემოელია. ამის მიუხედავად დახმარების მსურველები არ ილეოდნენ. საჩიქრების მარაგი ამოიწურა, მაგრამ მთხოვნელი ბევ-

რი იყო. მაშინ შუამავალმა ადამიანებს აუხსნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მოთმინება და ღირსეული თავდაჭერა.

„რა ქონებაც გამაჩნია არაფრის გადადებას და თქვენგან დამალვას არ ვაპირებ. ეს იცოდეთ, რომ ვინც ღირსეულად ცხოვრებას ისურვებს, ღმერთი მას ღირსეულად ცხოვრებაში დაეხმარება. ვინც მოთმინებას შეეცდება, ღმერთი მას მოთმინებას უწყალობებს. მოთმინებაა ყველაზე სასარგებლო და დიდი წყალობა, რაც ღმერთს თქვენთვის მოუცია.“ (ბუჰარი, რიქაქ 20)

ღმერთმა სამყარო ერთი ბრძანებით გააჩინა. მან ბრძანა „ქუნ“ ანუ „იყავ“ და ისიც იქმნა. მან ასევე გააჩინა ადამიანი,რათა თავისი არსებობა სცოდნოდა და ასევე მისი ერთადერთობა დაედასტურებინა. ღმერთმა ადამიანს დედამიწა „იატაკად“, ხოლო ცა, „ჭერად“ გაუჩინა. ყველაფერი,რაც ცასა და დედამიწას შორისაა ადამიან წყალობად არგუნა. ღმერთმა ადამიანს მატერიალური მოთხოვნილებების გარდა სულიერი განვითარებისათვის შუამავლები და წმინდა წიგნები მოუვლინა. ასევე მისცა და აცოდინა თავისი უფლებები, მოვალეობები და პასუხიმგებლობა. ღმერთმა ადამიანი განსაკუთრებული ღირსებით შეამკო, რადგან ის გააჩინა ადამიანად,გონიერ არსებად,რომელთანაც კომუნიკაცია დაამყარა.

ამ ყველაფრისგან გამომდინარე, ადამიანის ვალია მისი თანდაყოლილი ღირსება რწმენითა და შესაფერისი ქცევით დაადასტუროს,დაიცვას და განავითაროს. ის უნდა ცილობდეს თავისი სტატუსის შესაბამისად იცხოვროს.

ნებისმიერი ეროვნების, ენის, სარწმუნოების და სქესის წარმომადგენელი, ყველა ადამიანია და ის ადამიანთა დიდი ოჯახის წევრია, ამიტომ მას გააჩნია ღირსება და ფასი.

muslim georgia

კი მაგრამ ასე მოხდა? პირველი ადამიანის, ადამის შემდეგ ამ ასაკოვან დედამიწაზე მრავალი რამ მოხდა, მრავალი ძალადობა და ბოროტება იქნა ჩადენილი, რამაც ადამიანის ღირსება და ფასი შეარყია. დედამიწაზე პირველად სისხლი კაენმა დაღვარა. მან საკუთარი ძმა მოკლა. იმ დღიდან მოყოლებული დღემდე უთვალავი მკვლელობა, უსამართლობა, ძალადობა, ომები და მსგავსი უბედურებები ახსოვს დედამიწას. ადამიანმა თავისი გაჩენის მიზანს უღალატა, დაშორდა და ამქვეყნიური მისწრაფებების მონა გახდა, შედეგად კი საკუთარ თავსა და გარემოს დიდი ზიანი მიაყენა. როგორც კი ადამიანი მატერიალურ სურვილებს აჰყვა, მაშინვე სულიერი ფასეულობების დაკარგვა დაიწყო. ადამიანმა თავისი ხელით, ფეხით, ენით, თვალით და ა.შ. ბოროტებას გზა გაუხსნა და სიკეთის გზები კი- გადაკეტა.

კაცობრიობამ ადამიანისგან რა აღარ გადაიტანა. არადა ადამიანი ადამიანის კონკურენტი კი არა, მეგობარი უნდა ყოფილიყო. მას სწორი ცხოვრებით უნდა ეცხოვრა და საიქიოში პირნათელი უნდა წარმდგარიყო. იმ დღეს ზოგის სახე შავი იქნება, ადამიანს კი ისე უნდა ეცხოვრა, რომ გასხივოსნებულებს შორის ყოფილიყო.

სანამ ჯერ კიდევ ვსუნთქვათ, გვიანი არ არის. საკმარისია მოვიმდომოთ და ადამიანურ ღირსებას სათანადოდ გავუფრთხილდეთ. საკმარისია გავიგოთ ჩვენივე ფასი და სხვების საზღვრებისა და უფლებების მიმართ მგრძნობელობა შევინარჩუნოთ.

რა არის ღირსება და სათნოება?

ღირსება არის ადამიანის, როგორც საკუთარი თავისადმი პატივისცემაზე, ასევე სხვების მხრიდან მისდამი პატივიცემაზე დამყარებული ადამიანური ფასი. ადამიანი სხვა არსებებისგან განსხვავებული არსებაა და მისი ეს „მაღალი თვისებები“ მისსავე ღირსებას ავლენს.

„ადამიანი ღირსეული არსებაა“, ვამბობთ და ამით მის პიროვნებას და იდენტობას განვმარტავთ. ადამიანისთვის ღრსება შემდგომში ბოძებული წყალობა არ გახლავთ. მას ეს თვისება დაბადებიდანვე არგუნა ღმერთმა. ადამიანმა მხოლოდ ის უნდა შეძლოს,რომ ეს ღირსება შეინარჩუნოს. ამასთანავე, ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავის მიმართ

პატივისცემა არ გააჩნია, ის არც სხვას სცემს პატივს. როგორც კი ადამიანი გაიგებს საკუთარი თავის, საკუთარი ღირსების ფასს, ის აუცილებლად შეეცდება გაუფრთხილდეს მას და შეეცდება შეინარჩუნოს „უმანკოება“. ანუ არ დაკარგოს ღირსება და არ ჩაიდონოს ღირსებისთვის შეუფერებელი საქციელი.

რაც შეეხება წესიერებას, ეს არის ადამიანის თვისება, რომელიც ცდუნებებისა და ცოდვებისგან თავდაცვის შედეგად მიიღწევა. წესიერი ადამიანი საჭმელს, სასმელს და სექსუალურ სურვილებს ზომიერებას და ზნეობრივ რეგულაციებს უქვემდებარებს. წესიერება ის მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი ცდუნებებს უმკლავდება და ყველა ნაბიჯს სარწმუნოებასა და გონიერებასთან ათანხმებს. ადამიანი, როგორც ცოცხალი არსება, სიცოცხლისათვის კვებას და სხვა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მოითხოვს. ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში გამოჩენილი ზომიერება ზნეობის ერთ-ერთ გამოხატულებაა, რომელსაც წესიერება ეწოდება. წესიერი ცხოვრება ერთგვარი პატივისცემის გამოხატულებაა როგორც გამჩენის მიმართ, ისე საკუთარი თავისა და გარემოს მიმართაც.

ადამიანის ვალია მისი თანდაყოლილი ღირსება რწმენითა და შესაფერისი ქცევით დაადასტუროს, დაიცვას და განავითაროს. ის უნდა ცილობდეს თავისი სტატუსის შესაბამისად იცხოვროს.

ადამიანი დაბადებიდანვე ღირსების მატარებელია

ღმერთმა ადამიანი საუკეთესო ფორმით გააჩინა. ღმერთი ბრძანებს, რომ ადამიანს ჩაბერავს სულს მისი სულიდან.

ყურანში ნაბრძანებია:

„და როცა მივცემ სახეს და შთავბერავ მას ჩემი სულიდან, მაშინვე მუხლმოყრილნი განერთხეთ მიწაზე მისთვის!(ჰიჯრ 15/29)

„და როცა მივცემ სახეს და შთავბერავ მას ჩემი სულიდან, მაშინვე სეჯდე აღასრულეთ მისთვის!“ (სად 38/72)

„და ვფიცავ, ჩვენ აღმატებულ ვჰქმენით ადამის შვილნი და მივეცით საშუალება ემოგზაურათ ზღვასა და ხმელეთზე. ჩვენ ვუწყალობეთ მათ სიკეთენი და უპირატესვჰყავით ისინი სხვა მრავალ ჩვენს გაჩენილებთან შედარებით!“ (ისრა 17/70)

„აკი, უთხრა უფალმა შენმა ანგელოზებს: ხალიფა (ნაცვალი) უნდა დავადგინო დედამიწაზე. ანგელოზებმა უპასუხეს: ვინც უკეთურობას დასთესს და სისხლს დაღვრის, ისეთი ქმნილება უნდა დაადგინო? როცა ჩვენ გამუდმებით გადიდებთ, თაყვანს გცემთ და სიწმინდეს ვაღიარებთ შენსას?! ბრძანა (ალლაჰმა): ვიცი მე, რაც არ იცით თქვენ!“ (ბაყარა 2/30)

„თქვი: იგია, რომელმაც თქვენ გაგაჩინათ და გიბოძათ ყურთასმენა, თვალთახედვა და შემეცნების უნარი. რაოდენ მცირეა თქვენი მადლიერება?!“ (მულქ 67/23)

„ნამდვილად, ჩვენ მოგივლინეთ თქვენ შუამავალი თქვენივე წიაღიდან; ის თქვენ გიკითხავთ ჩვენს აიათებს, განგწმენდთ და გასწავლით წიგნსა და სიბრძნეს, და გასწავლით იმას, რაც ადრე არ იცოდით“. (ბაყარა 2/151)

ადამიანმა
თავისი გაჩენის
მიზანს ულალატა,
დაშორდა და
ამქვეყნიური
მისწრაფებების
მონა გახდა,
შედეგად კი
საკუთარ თავსა
და გარემოს
დიდი ზიანი
მიაყენა.

ისლამის რწმენის მიხედვით ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ იმიტომ იმსახურებს პატივისცემას, რომ ის ადამიანია. გამომდინარე აქედან, ადამიანის ღრსება ჯერ მისი ადამიანობიდან მომდინარეობს.

ყოველი ადამიანია, მიუხედავად ეროვნებისა, კანის ფერისა, აღმსარებლობისა, სქესისა და სხვა მახასიათებლებისა, ყველა თანასწორია და ისინი კაცობრიობის ოჯახის წევრები არიან.

არცერთ ჩვენგან ეროვნება, სამშობლო, კანის ფერი, სქესი და ოჯახი არ აგვირჩევია. ჩვენი მრავალფეროვნება გამჩენის ყოვლადძლიერების დასტურია. (იხ. რუმ, 30/22) ისეთი საკითხებით ერთმანეთზე უპირატესობის მოპოვების მცდელობა, რომლებიც ჩვენი არჩევანი არ ყოფილა, ღვთიური ნებისა და შუამავლის სუნას საპირისპირო ქმედებაა.

ყურანის სწავლება ადამიანის შელახული თავმოყვერეობისა და გარკვეულწილად დაკარგული ღირსების აღდგენას ემსახურება. ამასვე გვასწავლის შუამავლის ცხოვრებაც. ახალგაზრდობის წლებში შუამავალი, როცა ჯერ კიდევ შუამავლობის მისია არ ჰქონ-

წესიერი ცხოვრება ერთგვარი პატივისცემის გამოხატულებაა როგორც გამჩენის მიმართ, ისე საკუთარი თავისა და გარემოს მიმართაც.

და დაკისრებული, მონაწილეობდა მექას სათათბიროს გადაწყვეტილებებში და იქაც მუდმივად სამართლიანობის მედროშე იყო. იცავდა დაჩაგრულებსა და სუსტებს. შემდეგ იყო შუამავლობა. მთელი შუამავლობის პერიოდში კი ადამიანის უფლებების დაცვა მისი უმთავრესი პრიორიტეტი იყო.

ყურანში ნაბრძანებია, რომ ადამიანები ერთი წინაპრისგან მოდიან და ისინი თანასწორნი არიან. (იხ. ნისა 4/1) შუამავალმა თავის გამოსამშვიდობებელ ქადაგებაში ბრძანა, რომ ადამიანები ერთი ფესვიდან არიან გაჩენილნი და მათ შორის უპირატესობა მხოლოდ ღვთისმოსაობის ხარისხია. „ადამიანებო, კარგად იცოდეთ, რომ თქვენი გამჩენი ერთია. თქვენი წინაპარიც ერთია. არაბს არაარაბთან, არაარაბს არაბთან, თეთრკანიანს შავკანიანთან, შავკანიანს

თეთრკანიანთან ღვთისმოსაობის გარდა სხვა რაიმე უპირატესობა არ გააჩნია“. (იბნ ჰანბელ, 5/411)

ადამიანის ღირსება ეროვნებაზე, რელიგიაზე, მიმდინარეობაზე, სქესზე, სოციალურ სტატუსსა და მსგავს ფაქტორებზე არ არის დაკავშირებული. ქალი, კაცი, ახალგაზრდა, მოხუცი, მდიდარი, ღარიბი, განათლებული, გაუნათლებელი, ყოველი ადამიანი ადამიაობიდან გამომდინარე დასაფასებელია და პატივისცემას იმსახურებს. (იხ. მუსლიმ, ბირ, 138) ღირსება ადამიანის გულშია და არა გარეგნობაში. შუამავალი ბრძანებს: „ღმერთ თქვენს გარეგნობასა და ქონებას არ უყურებს, ის მხოლოდ თქვენს გულებსა და ნამოქმედარს უყურებს“. (იხ. მუსლიმ, ბირ 34)

ისლამის მიხედვით ადამიანისადმი პატივისცემა მისი გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება. შუამავალი ბრძანებს: გარდაცვლილები არ შეურაცხყოთ, რადგან მათ ამქვეყნად ნაკეთებს მიაღწიეს და წავიდნენ“. (იხ. ბუჰარი, ჯენაიზ 97) ერთხელ მიცვალებულს მოასვენებდნენ და შუამავალი ფეხზე ადგა. მეგობრებმა უთხრეს რომ ის მიცვალებული ებრაელი იყო. „განა ის

ადამიანი არ არის“- მიუგო შუამავალმა. გამომდინარე აქედან ადამიანი ყოველთვის დასაფასებელია, ცოცხალიც და მკვდარიც.

ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია

ადამიანს ღირსება და პატივისცემა დაბადებიდანვე აქვს მინიჭებული, ამიტომ ისლამის მიხედვით მისი სიცოცხლე, აღმსარებლობა, გონება, ნამუსი და ქონება ყოველგვარი ხელყოფისგან დაცულია. ამ ღირებულებების დაცვა, ჩვენთვის, როგორც ადამიანური, ისე რელიგიური ვალდებულებაა. უფრო მეტიც, ამ ღირებულებების დაცვისთვის თავის გაწირვა ადამიანს შაჰიდობად ეთვლება. (იხ. თირმიზი, დიათ21; ებუ დავუდ, სუნნე 29)

ყურანის მიხედვით ადამიანის უსამართლოდ მოკვდინება მთელი კაცობრიობის მოკვლად ითვლება. ამასთანავე, ერთი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაც, მთელი კაცობრიობის სიცოცხლის გადარჩენას უდრის. (იხ. მაიდე, 5/32) შუამავალმა კი თავის გამოსამშვიდობებელ ქადაგებაში ადამიანთა ეს ფუნდამენტური უფლებები ხელშეუხებლად გამოაცხადა. (იხ. იბნ ჰანბელ, 5, 72)

ჩვენს სარწმუნოებაში ადამიანთა დამცირება, შური, ცილისწამება, დაცინვა, მეტსახელის შერქმევა და მსგავსი შეუფერებელი მოპყრობა აკრძალულია. ესეც დასტურია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის ღრსება. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია სიცოცხლის, ქონებისა და ნამუსის შესახებ (იხ. მუსლიმ, ბირ 32) შესაბამისად სხვისი სიცოცხლის, ქონებისა და ღირსების ნებისმიერი ფორმით ხელყოფა კატეგორიულად აკრძალულია.

ომი, ბუნებრივია, სასურველი არ არის, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებშ ისლამი მოწინააღმდეგესთან საომარ მოქმედებებში შესვლის ნებართვას იძლევა. (იხ. თევბე, 9/12; ჰაჯ 22/39) თუმცა მუსლიმი ვალდებულია ომის წარმოებისასაც კი ომისა და ზნეობრივი კანონები დაიცვას. ისლამის მიხედვით ომში დაუშვებელია წამება და არაადამიანური მოპყრობა. (ბუნებრივია სხვა დროს მითუმეტეს აკრძალულია ეს). დაუშვებელია ქალების, ბავშვების, მოხუცების, რელიგიური პირებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვა. ეს თავად შუამავლის ბრძანებაა. (იხ. ბუჰარი, ჯიჰად 147-148)

ომის დროს მტრის სახლებსა და ბაღებს არ აზიანებდნენ. თანამედროვე მსოფლიოში ადამიანთა უფლებების კონვენცია დადგენილია და ყველაფერი კარგად წერია, მაგრამ ეს ყველაფერი ქაღალდზეა დარჩენილი. გასულ საუკუნეში კაცობრიობამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა და ჩვენ ყველამ ვიცით რაოდენ სისასტიკე გამოვლინდა ამ ორივე ომში. დღესაც სირიაში, ერაყსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში ისევ ომები მძვინვარებს. გახშირდა ტერორისტული აქტები, მკვლელობები, წამების ფაქტები, ადამიანთა უფლებების უხეშ დარღვევები, ძალადობა და სხვა. აფრიკაში არსებული უკიდურესი სიღატაკე კი ნორმალურ ადამიანებში უსაზღვრო სინდისის ქენჯნას იწვევს. დაჩაგრული და გაუბედურებული ადამიანების ღირსება ყოველდღიურად ილახება. გაერო და სხვა ორგანიზაციები ადამიანის ღირსების შელახვას, ძალადობას და სიღატაკეს, რომელმაც თითქმის მთელი დედამიწა მოიცვა, ვერაფერს შველიან.

მუსლიმი ვალდებულია დაიცვას არამარტო საუკუთარი ღირსება, არამედ სხვების ღირსებასაც უნდა გაუფხთხილდეს. მეტარდე თანამორწმუნე ძმები ვალდებულნი არიან ერთმეორის ღრსება დაიცვან. შუამავალი ბრძანებს:

მუსლიმი ვალდებულია დაიცვას არამარტო საუკუთარი ღირსება, არამედ სხვების ღირსებასაც უნდა გაუფხთხილდეს.

„ვინც მუსლიმს, რომელსაც პატივისცემის დაკარგვის და ღირსების შელახვის საფრთხე ემუქრება, არ დაეხმარება, ღმერთიც იმ დროს მიატოვებს დახმარების გარეშე, როცა მას ეს ძალიან ენდომება. ხოლო ვინც მუსლიმს, რომელსაც პატივისცემის დაკარგვის და ღირსების შელახვის საფრთხე ემუქრება, დაეხმარება, ღმერთიც იმ დროს არ მიატოვებს დახმარების გარეშე, როცა მას ეს ძალიან ენდომება“. (იხ. ებუ დავუდ, ედებ 36)

ოჯახის წევრები, ნათესვები, მეზობლები, მეგობრები, დიდი,, პატარა, ახალგაზრდა, მოხუცი, ყველა იმსაუხრებს პატივისცემას და მათ ღირსება საკუთარი ღირსების მსგავსად უნდა დავიცვათ. სხვებს ისე არ უნდა მოვექცეთ, როგორი მოქცევაც ჩვენ თვითონ არ მოგვეწონება. ამ პასუხიმგებლობის მიმართ მგრძნობელობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია და თუ შევძლებთ, რომ ის რიგიანად შევასრულოთ შუ-

ამავლის სიტყვების ადრესატი გავხდებით: „ვინც მუსლიმი ძმის ღირსებისაკენ მიმართულ ნებისმიერი სახის ბოროტებას აარიდებს, ღმერთიც, განკითხვის დღეს ჯოჯოხეთის ცეცხლს აარიდებს“. (თირმიზი, ბირ 20)

შუამავალი ბრძანებს, რომ მორწმუნე ადამიანმა ისეთ რთულ საქმეს არ უნდა მოკიდოს ხელი, რომელსაც თავს ვერ გაართმევს და შერცხვებაო. (იხ. თირმიზი, ფითენ 67) მორწმუნემ ყურადღება უნდა მიაქციოს ალალსა და არამს. ამასთანავე ის უნდა გაერიდოს საეჭვო ვითარებებს. მორწმუნე მანერებით, საუბრით, ჩაცმით, ქცევით, მოკლედ ყველაფრით უნდა აჩვენებდეს, რომ ის ღირსეული ადამიანია. ამიტომ ის თავის სიტყვასა და ქცევაში ზომიერებას, წესიერებას და სათნოებას უნდა ავლენდეს. პატიოსნება იმის დასტურია, რომ ადამიანი ღრსეულად ცხოვრობს.

Muslim General Knowledge International Center

პატიოსნება ცდუნებებზე გამარჯვებაა

“სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას!

და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა!

უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), ვინც განწმინდა იგი!

უეჭველად, წარწყმედილ იქმნა (სული), ვინც შეეცადა

მისი(ნაკლოვანებების) დაფარვას!" (შემს 91/7-10)/ . როგორც აიათებიდან ჩანს, ადამიანი ზნეობრივი თვალსაზრისით წყვილპოლუსიანი არსებაა. მას აქვს უნარი და უფლება განასხვავოს ერთმანეთისგან კარგი და ცუდი, ცოდვა და მადლი, სიკეთე და ბოროტება და ასევე უფლება აქვს გააკეთოს თავისუფალი არჩევანი. თუ ის მოახერხებს და ცდუნებებს გაუძლებს, როგორც აიათშია მოცემული, ის განიწმინდება. თუ პირიქით გააკეთებს, ცდუნებებს ვერ გაუმკლავდება და ცოდვებს არ მოერიდება, ის წარწყმედილ იქნება. განწმენდილი სული საუკეთესო თვისებაა ადამიანისთვის.

სწორი და პატიოსანი ცხოვრება მორწმუნის განუყოფელი თვისებაა. პატიოსნება ჯერ გულიდან იწყება. როგორც კი მორწმუნე იგრძნობს, რომ

ღმერთი მის გულში იხედება, ის ყოველგვარი ცუდი ფიქრებისაგნ გათავისუფლებაზე იზრუნებს და შეეცდება, რომ გული სუფთად შეინარჩუნოს. გულისმიერი პატიოსნება ყოველგვარი ცდუნებებისა და სურვილების მოთოკვას გულისხმობს. ამის შემდეგ ადამიანის ეს მდგომარეობა სხეულის სხვა ორგანოებზე გავრცელდება და ადამიანი აღარც ენით, აღარც ხელით, არ სხვა ორგანოებით ცოდვას აღარ ჩაიდენს.

პატიოსნება არამარტო ინდივიდის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი რამაა. ჩვენი სარწმუნოების მიზანი პატიოსანი საზოგადოების ჩამოყალიბებაა, ამიტომ მორწმუნე ქალებსა და მამაკაცებს გარკვეული ვალდებულებები და პასუხიმგებლობა ეკისრებათ. ამ მოვალეობებიდან ერთ-ერთი მთავარი წესიერად ჩაცმა და დახურვაა.

სარწმუნოების წესისამებრ ჩაცმა ყველას ეხება; ქალი იქნება, კაცი, დიდი თუ პატარა და ეს არამარტო საკუთარი პირადი სივრცის დაცვა, არამედ სხვათა მიმართაც პატივისცემის გამოჩენაა. სარწმუნოების წესისამებრ ჩაცმა ადამიანს სულიერად აძლიერებს და საკუთარი თავის ამოცნობაში ეხმარება.

მოკრძალება
პატიოსნების
ძმაა,
რომელიც
ცოდვებისგან
თავის
დასაცავად
და ღირსეული
ცხოვრებისთის
ყველაზე
უკეთესი
დამხმარეა.

სარწმუნოების წესისამებრ ჩაცმულობის წყალობით ადამიანების ურთიერთობაში წინა პლანზე პიროვნული თვისებები დადგება და არა სქესი. ამის შედეგად ურთიერთბები უფრო ჯანსაღი და გაწონასწორებული იქნება. სარწმუნოების წესისამებრ ჩაცმა მხოლოდ სხეულის გარკვეული ნაწილების დაფარვა არ გახლავთ. მას გაცილებით მეტი შინაარსი და დატვირთ აქვს. ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი, ადამის შვილნო! ჩვენ მოგივლინეთ თქვენ სამოსი თქვენთა სარცხვინებელთა დასაფარად და შესალამაზებლად, და ღვთისმოშიშობის სამოსელი, სწორედ ესაა უკეთესი. აი, ესაა ალლაჰის აიათები, ეგების გულისხმაჰყონ მათ!“ (არაფ 7/26)

ამრიგად მხოლოდ წესისამებრ ჩაცმა არ არის საკმარისი და საჭიროა ღვთისმოშიშობა, რომელიც მორწმუნის ყოველ სიტყვასა და ქცევაში უნდა აისახებოდეს.

პატიოსნებითა და მოკრძალებით აღჭურვილი მორწმუნეები არამს თვალს არიდებენ. ღმერთი ბრძანებს: „უთხარი მორწმუნე კაცებს, მოარიდონ თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუ-

სი მათნი. ეს უფრო წმინდაა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც ისინი სჩადიან.

და უთხარი მორწმუნე ქალებს, მოარიდონ თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი და არ გამოაჩინონ თავიანთი სამშვენისები, გარდა მოჩანს რაც მისგან ; დაფარონ საბურველით გულმკერდი და არ დაანახონ თავიანთი სამშვენისები არავის, გარდა ქმრისა, მამისა, მამამთილისა, ვაჟიშვილებისა, ქმრის ვაჟიშვილებისა, ძმებისა და ძმათა და დათა ძმებისა, მათი ქალებისა, მხევლებისა, რომლებიც მათმა მარჯვენამ მოიპოვა, მამაკაცი მსახურებისა, რომლებსაც ქალის სურვილი არ გააჩნიათ, ბავშვებისა, რომლებიც ქალის სიშიშვლეს ვერ ამჩნევენ. და არ გადადგან ფეხი ისე, რომ არ გამოაჩინონ ის, რაც უნდა დამალონ. ჰეი მორწმუნენო! ერთბაშად შესთხოვეთ ალლაჰს მოტევება, ეგებ იქმნათ ნეტარნი!“ (ნურ 24/30-31) შუამავალი კი გვაფრთხილებდა, რომ პირველი შეხედვა საპატიებელია, მაგრამ ხელმეორედ შეხედვის უფლება აღარ გვაქვს: „ჰეი, ალი! პირველ შეხედვას მეორე არ დაამატო, რადგან პირველი შეხედვა ნაპატიებია, მაგრამ შემდეგი შეხედვის უფლება აღარ გაქვს“. (იხ. ებუ დავუდ, ნიქაჰ 42-43)

ნამდვილი სიღატაკე ეკონომიური გაჭირვება კი არ არის, არამედ პატიოსნებისა და ღირსების გარეშე ცხოვრებაა.

ყურანის ადამიანის ორ სისუსტეზე ამახვილებს ყურადღებას. ესენია: ფული და ვნებები. ფულის სიყვარული ადამიანს მონად გადააქცევს და სულიერად უკიდურესად დაასუსტებს. ადამიანს ეშინია არ გაღარიბდეს და სხვაზე დამოკიდებული არ გახდეს. არადა ნამდვილი სიღატაკე ეკონომიური გაჭირვება კი არ არის, არამედ პატიოსნებისა და

ღირსების გარეშე ცხოვრებაა. ყურანში ნაბრძანებია:

„ღარიბთათვისაა , რომელთაც თავი მიუძღვნეს ალლაჰის გზას და არ შეუძლიათ შემოიარონ დედამიწა . უვიცთ მდიდარნი ჰგონიათ ისინი მათი თავმდაბლობიდან გამომდინარე, შენ გამოიცნობ მათ მათივე სახეებიდან, მოწყალებას არ სთხოვენ ხალხს დაჟინებით. და რა სიკეთესაც გაიღებთ, უეჭველად, იცის ის ალლაჰმა“. (ბაყარა 2/273)

მეორეს მხრივ ყურანი აქებს იმ მორწმუნეებს, რომლებიც ვნებებს არ აჰყვებიან და პატიოსნებას ინარჩუნებენ. მათი დახასიათებისას ყურანშ გამოყენებულია ტერმინი „უმწიკვლოება“.

„ნამუსი დაიცვან მათ,რომელნიც ვერ ახერხებენ დაქორწინებას, იმ დრომდე, სანამ ალლაჰი არ გაამდიდრებს მათ თავისი მადლით. და რომელთაც უნდათ მიიღონ წიგნი „აზატობისა“ მათგან, ვისმა მარჯვენამაც მოიპოვა ისინი, მიეცით მათ ის,თუ იპოვეთ მასში სიკეთე და დაასაჩუქრეთ ისინი იმ ქონებიდან, რომელიც ალლაჰმა თქვენ გიბოძათ. არ დააძალოთ თქვენს მონა ქალებს მრუშობა, რომ მიიღონ წარმავალი კეთილი, თუკი მათ სურთ უმწიკვლობის შენარჩუნება. და თუ ვინმე აიძულებს მათ ამას, ალლაჰი იძულების შემდეგ, უეჭველად, მათდამი შემნდობია, მწყალობელია!“ (ნურ 24/33)

ისლამი სქესობრივი სურვილების ლეგიტიმური გზებით დაკმაყოფილებას ნორმად მიიჩნევს და აღნიშნული საკითხის ნორმალურად რეგულირებისათვის დადგენილი აქვს წესები, რაც ინდივიდის, ოჯახისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სიმშვიდის შე-

ნარჩუნების საკითხში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თავშეუკავებელი და ნებაზე მიშვებული სექსუალური ცხოვრება მრავალი სულიერი და ფიზიკური დაავადების მიზეზი ხდება, ამიტომ ნამუსისა და ღირსების დაცვა მორწმუნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, რადგან მას სწორედ ასეთი ცხოვრება შეეფერება. ყურანში მრუშობა კატეგორიულად აკრძალულია:

„და არ მიუახლოვდეთ მრუშობას! უეჭველად, იგი ზნედაცემულობა და ცუდი გზაა“.“ (ისრა 17/32)

შუამავალი კი გვაფრთხილებდა, რომ ჩვენი ქცევით მრუშობისკენ გზა არ უნდა გაგვეხსნა. (იხ. ბუჰარი, ისთიზან 12, ქადერ 9)

ჩვენს სარწმუნოებაში სქესობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთადერთი გზა ქორწინებაა. ქორწინება ყველაზე მტკიცე ზღუდეა, რომელიც ადამიანის ღირსებას იცავს. ქორწინებამდე კი აუცილებელია თავშეკავება და პატიოსნების შენარჩუნება. (იხ. ნურ 24/33); ისრა 17/32) შუამავალი ქორწინების მნიშვნელობაზე და მის როლზე ღირსების დაცვის საკითხში ხშრად

საუბრობდა: „ახალგაზრდებო, ვისაც ქორწინების საშუალება გაქვთ, დაქორწინდით, რადგან ქორწინება საუკეთესო გზაა იმისათვის, რომ თვალი არამისგან დაიცვათ და ღირსება შეინარჩუნოთ“. (ბუჰარი, ნიქაჰ 3)

შუამავლის მოწოდება ქორწინებისაკენ, რა თქმა უნდა, ერთგვარი მოტივაციაა ამ ნაბიჯის გადასადგმელად. ამასთანავე საჭიროა ქორწინების მაქსიმალური გაიოლება და ქორწინების მსურველთათვის სოციალური თანადგომა. შუამავალი მორწმუნეებს მოუწოდებდა ქორწინება გაეოლებინათ. (იხ. ებუ დავუდ, ნიქაჰ 31)

პატიოსნება თავისუფლების საფუძველია

ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება თავისუფლებაა. ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება. ადამიანის ღირსების მიმართ ყველაზე დიდი თავდასხმა მისი დამონებაა. როდესაც ხალიფა ომარმა გაიგო, რომ ეგვიპტის მმართველის ვაჟი თავის მდგომარეობას იყენებდა და ადამიანებს აწამებდა, მმართველი იხმო და სასტიკად გააფრთხილა: „დედებისგან

თავისუფლად დაბადებულებს, როდის მერე იმონებთ?!“

ჰზ. ომარს ადამიანებთან ურთიერთობა და ზნეობრივი პრინციპები პირადად შუამავლისგან ჰქონდა ნასწავლი.

შუამავლისათვის მონას და თავისუფალ ადამიანს თანაბარი ადგილი ჰქონდათ. იმ დროისათვის მთელ მსოფლიოში მონობა ფართოდ იყო გავრცელებული. შუამავალი მუდმივად ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ადამიანი ეხსნა მონობისგან. ის სხვებსაც მოუწოდებდა ამის გაკეთებას და საზოგადოების ამ ფენასთან განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება ჰქონდა. ასეთი დამოკიდებულების შედეგად ჩვენ ვიცით, რომ ისეთმა დიდმა პიროვნებებმა, როგორებიც იყვნენ ზეიდ ბინ ჰარისე, ბილალი ჰაბეში, ამმარ ბინ იასირი და სხვები, დაღწიეს თავი მონობას და თავისუფალი ადამიანის ღირსეული ცხოვრებით იცხოვრეს.

თავისუფლად დაბადებული ადამიანის ნებისმიერი ფორმით დამონება სასტიკად მიუღებელია. ამასთანავე, ადამიანის მიერ საკუთარი სურვილებისადმი მორჩილება და ამ გზით საკუთარი თავის მონობა, ადამიანის ღირსებას არ შეეფარება.

ცდუნების
სიჭარბეს ვინც
მოთკავს და
არჩევანს სიკეთისა
და სათნოებისკენ
გააკეთებს,
ის გადარჩება.
ვინც ცდუნებებს
აჰყვება და
ამ გზით
ღირსებას
შეილახავს,
დაიღუპება.

muslim.ge
Georgia
International Muslim Union

ადამიანისთვის ყველაზე დიდი ღირსებაა იყოს ღვთისმსახური. ღვთისმოსაობის გზით მიღწეული თავისუფლება ნიშნავს, რომ ადამიანი თავის ღირსებასა და პატიოსნებას იცავს.

ყველაზე სახიფათო მონობა საკუთარი სურვილების მორჩილებაა. ამქვეყნიურ სურვილებს ბოლო არ უჩანს. ისინი ამოუწურავია. სურვილების მონას ყოველდღე ახალ-ახალი მისწრაფება წამოუბერავს და ხან აქეთ მიახეთქებს, ხან- იქეთ. ამგვარი მონობისგან თავის დაღწევა მხოლოდ პატიოსნებითაა შესაძლებელი. პატიოსანი ადამიანი ცდუნებებს არ მისდევს, ამქვეყნიურ სურვილებსა და მისწრაფებებს თოკავს და სიმშვიდეში ცხოვრობს.

ყოველი ზნეობრივი ღრებულება, რომელსაც ისლამი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, პირდაპირ კავშირშია ადამიანის ღირსებასთან. რაც შეეხება პატიოსნებას, ის ადამიანს მხოლოდ თავისუფლების მოპოვებაში არ ეხმარება. ის განაპირობებს დამატებით თვისებებს, რომლებიც ადამიანს საუკეთესო ფორმით წარმოაჩენს. ესენია: ზრდილობა, მოკრძალება, მოთმინება, თანადგომა, თანაგრძნობის უნარი, მი-

ტევება, ღიმილი, ტკბილი სიტყვა და სხვა. ამდენად შეგვიძია ვთქვათ, რომ პატიოსნება ადამიანს ყველა ლამაზი თვისებით ამკობს.

სირცხვილის შეგრძნება უძველესია, რადგან ის ადამისა და ევას მიერ აკრძალული ხილის მირთმევას უკავშირდება. (იხ. ტაჰა 20/121) შუამავალიც სირცხვილის გრძნობის მნიშვნელობაზე მიუთითებდა: „თუ არ შეგრცხვება, გააკეთე, რაც გსურს“. (ბუჰარი, ედებ 78)

სირცხვილის გრძნობა უხილავია, მაგრამ ის ადამიანს იცავს. ყველა სარწმუნოებას თავისთვის დამახასიათებელი მორალური ხაზი გააჩნია. შუამავალი სირცხვილის გრძნობას ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევდა და ამბობდა, რომ ის რწმენიდან მომდინარეობდა. (იხ. იბნ მაჯე, ზუჰდ 17) სირცხვილის გრძნობა პატიოსნების ძმაა და ისინი ადამიანს ღირსეულად ცხოვრებაში ეხმარებიან.

მორწმუნე სირცხვილის გრძნობითა და პატიოსნებით ყველა სახის ცდუნებას უმკლავდება და გულს, თვალს, ხელს, ენას, სმენას არამისგან იცავს. ამის მაგალითი მოთხრობილია ყურან-

ში, როცა ჰზ. იუსუფი ცდუნების წინაშე დადგა, მაგრამ ღვთის შიშით ცდუნებებს გაუმკლავდა და თავი საფრთხეშიც ჩაიგდო:

„ქალმა ისურვა მისგან, რომლის სახლშიც ცხოვრობდა იგი, ვნების აღსრულება. მან ჩარაზა კარები და უთხრა: „მოდი ჩემთან!“ უთხრა: „ალლაჰმა დამიფაროს! უეჭველად, იგი ჩემი ბატონია. მან კარგად მომეპყრო . უეჭველად, ცოდვილნი ვერ გადარჩებიან!“

და ვფიცავ, რომ ქალმა ისურვა მასთან თანაცხოვრება, და რომ არ დაენახა თავისი ღმერთის აშკარა ნიშანი, ისიც ისურვებდა მასთან თანაცხოვრებას. აი, ასე ავაცილეთ მას სიავე და გარყვნილება. უეჭველად, იგი ჩვენი გულწრფელი მსახურთაგანი იყო.

გაიქცნენ ორივე კარისკენ. და ჩამოახია ქალმა მას პერანგი უკნიდან. და კართან გადააწყდნენ ქალის პატრონს. ქალმა უთხრა: რა სასჯელს იმსახურებს ის, ვინც შენი ოჯახისთვის სიავე მოინდომა, თუ არა დილეგში ჩაგდებას, ან მწარე სასჯელსო.

უთხრა : „თვითონ ისურვა ჩემთან თანაცხოვრება!“ ქალის ოჯახიდან

ერთ-ერთმა ასეთი გამოსავალი შესთავაზა: „თუ მისი პერანგი წინიდანაა ჩამოხეული, იგი მართალს ამბობს და იგი ცრუთაგანია.

და თუ მისი პერანგი უკნიდანაა ჩამოხეული, იგი ცრუობს, და იგი მართალთაგანია.“

ხოლო როცა დაინახა მისი პერანგი უკნიდან იყო ჩამოხეული, უთხრა : უეჭველად, ეს თქვენი ხრიკებია. თქვენი მზაკვრობა, უეჭველად, დიდია.

ჰეი , იუსუფ! არავის მოუყვე ეს ! შენ კი პატიება ითხოვე, უეჭველად, შენ ცოდვილთაგანი ხარ!“

და ქალაქში ქალები ალაპარაკდნენ: „ღეზიზის ცოლმა თავის მსახურთან თანაცხოვრება მოიწადინაო, მისთვის გული დაუწვავს სიყვარულსო. უეჭველად, ჩვენ ვხედავთ მას, აშკარა გზააბნევაშია.“

ხოლო როცა ქალმა გაიგო მათი ჭორიკნობა, მოსაწვევი გაუგზავნა მათ, მოუწყო მათ მუთაქა-სავარძლები, და თითოეულს დანა მისცა. მერე ქალმა უთხრა : გადი მათთან! ქალებმა რომ დაინახეს იგი, აღფრთოვანდნენ და ხელები დაისერეს . და თქვეს: დიდება

ალლაჰს! ეს ადამიანი არ არის, ეს თუ იქნება ღირსეული ანგელოზიო!

უთხრა : აი ის, ვის გამოც მკიცხავდით მე . ვფიცავ, რომ მასთან თანაცხოვრება ვისურვე. მაშინ უარყო, მაგრამ თუ იმას არ გააკეთებს, რაც ვუბრძანე, უთუოდ, დილეგში ჩააგდებენ და უთუოდ, დამცირებულთა შორის აღმოჩნდება!

შეევედრა : „ღმერთო ჩემო! დილეგი ჩემთვის უფრო უკეთესია იმაზე, რისკენაც მიხმობენ, დილეგში ყოფნა მირჩევნია იმის გაკეთებას, რასაც მაიძულებენ, და თუ მათ მზაკვრობას არ ამაცილებ, შეიძლება გადავიხარო მათკენ და უგუნურთა შორის აღმოვჩნდე!“

მაშინ შეისმინა ღმერთმა მისმა ვედრება მისი, ამგვარად ააცილა მას მზაკვრობა მათი. უეჭველად, იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!

მერე, აშკარა საბუთების ხილვის შემდეგაც , მათ მაინც საჭიროდ ჩათვალეს გარკვეული ვადით დილეგში ჩაესვათ“ (იუსუფ 12/23-35)

ამრიგად, ცდუნებებს აყოლილი ადამიანი სასახლეშიც კი ტყვეა, მაგრამ პატიოსანი ადამიანი საპყრობილეშიც კი თავისუფალია.

პატიოსნების კიდევ ერთი ამბავი, რომელიც ყურანშია წარმოდგენილი, ჰზ. მერიემს ეხება. ჰზ. მერიემის დედა დიდი ხანი ელოდა შვილის გაჩენას და ბოლოს, როცა გაიგო, რომ შვილი ეყოლებოდა, მან გადაწყვიტა დაბადებისთანავე დაძარში მიებარებინა. (იხ. ალი იმრან 3/35) რომ იყო ღვთის ჭეშმარიტი მონა, სხვა ყველაფრის მონობისგან უნდა გათავისუფლდე. ეს არის მთელი სულითა და გულით ღმერთზე მინდობა.

ჰზ. მერიემი ტაძარში იზრდებოდა და მხოლოდ ღვთის მსახური იყო, რაც ნამდვილ თავისუფლებასა და პატიოსან ცხოვრებას ნიშნავდა. შემდეგ ის გახდა მოწმე დიდი სასწაულისა, როცა ანგელოზი გამოეცხადა და მამის გარეშე შვილის მოსალოდნელი დაბადება ამცნო. ის ღმერთს მიენდო, როცა ხალხმა ცილი დასწამა და ყოველმხრივ თავს ესხმოდნენ. (იხ. ალი იმრან 3/35-46; მერიემ 19/16/33) მერიემი, ღვთის ბრძანებისამებრ დუმილის მარხვას იცავდა და ცილისმწამებლებს არ პასუხობდა. ღმერთმა ის ნაყოფით გაასხივოსნა.

ღირსებისა და პატიოსნების შემლახველი ქცევები

ადამიანი ზოგჯერ ისეთ არასწორ

დასკვნებს გააკეთებს, ისეთ ცუდ რაღაცაებს ჩაიდენს, რომ ადამიანურ ღირსებას ფეხქვეშ გათელავს. ამათგან რამოდნიმეზე ვისაუბრებთ და ვფიქრობთ, რომ ეს სასარგებლო იქნება.

ა. რასიზმი და სექტანტობა

ეროვნების, კანის ფერისა და რელიგიური მიმდინარეობის მიხედვით ადამიანთა დაყოფა მიუღებელია. აიათში ნაბრძანებია:

„ჰეი, ადამიანნო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!“ (ჰუჯურათ 49/13)

აიათის მიხედვით მითითებულია, რომ პატივდებული ისაა, ვინც უფრო ღვთისმოშიშია და გამორჩეულობას ეროვნება და სხვა ფაქტორები არ განსაზღვრავს.

არავის აქვს უფლება
შეავიწროვოს სხვა
ადამიანი იმის გამო,
რომ მასავით არ სწამს,
მასავით არ ფიქრობს
და მასავით არ
ცხოვრობს.

„მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ თქვენგანვე გააჩინა თქვენი მეწყვილე, რათა იპოვოთ მასში სიმშვიდე, დაგიდგინათ ერთმანეთში სიყვარული და მოწყალება. უეჭველად, ამაში სასწაულებია მოაზროვნე ხალხთათვის!“ (რუმ 30/21)

ეს ყველაფერი მრავალფეროვნება და საზოგადოებრივი სიმდიდრეა.

ადამიანი მშობლებს, გვარს და ეროვნებას ვერ აირჩევს. შავკანიანობა, თეთრკანიანობა ან ყვითელკანიანობა არჩევითი არ არის. ღმერთის ნებაა ასეთი, რომ ყველა ისეთი ჩნდება, როგორიც არის. ასეთი რამეებით უპირატესობის მცდელობა, რაც არჩევითი არ არის, რეალობის აღქმისგან შორსაა, მიუღებელი და ღირსების შემლახველია.

ბუნებრივია ყველა ადამიანს უყვარს თავისი დაბადების ადგილები, ოჯახი და სამშობლო. ეს ნორმალური და მისასალმებელია. პრობლემა ისაა, როცა ადამიანებს ეროვნების მიხედვით განსჯიან და დამცირებს ცდილობენ. ეროვნების უპირატესობად წარმოჩენა და სხვების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება მიუღებელია.

შუამავალი ბრძანებს: „ღმერთმა უმეცრების ხანის ამპარტავნება და წინაპრების განდიდების წესი აკრძალა. (ადამიანებს შორის) განსხვავება მხოლოდ ღვთისმოშიშობითა და ცოდვილობით ხდება. ადამიანები ადამის შთამომავლები ვართ,ადამი კი მიწისგანაა გაჩენილი“. (თირმიზი,მენაქიბ 74) ჰადისით ცხადი ხდება, რომ წარმომავლობით ტრაბახი და ამ მხრივ გამორჩეულობის მტკიცება მიუღებელია. ასევე ადამიანების მხრიდან რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის არჩევა ბუნებრივია, მაგრამ აქედან დაპირისპირებისა და მტრობის დაწყება და ძალადობა კატეგორიულად მიუღებელია. დედამიწა იმდენად დიდია, რომ ყველა ერისა და რწმენის ხალხი იცხოვრებს. არავის აქვს უფლება შეავიწროვოს ის ადამიანები, რომლებსაც სხვა აღმსარებლობა, ეროვნება ან კანის ფერი აქვთ, ან მასავით არ ფიქრობენ და არ ცხოვრობენ.

ბ. ჩაგვრა და ძალადობა

ჩაგვრა ყველაზე დიდი უღირსობაა. ადამიანთა უფლებების დარღვევა, საკუთრების ხელყოფა, ძალადობის გზით ადამიანების ჩაგვრა კატეგორიულად აკრძალულია.

ჩვენს
სარწმუნოებაში
ადამიანთა
დამცირება,
შური,
ცილისწამება,
დაცინვა,
მეტსახელის
შერქმევა და
მსგავსი
შეუფერებელი
მოპყრობა
აკრძალულია.

muslim georgia
muslim georgia union
muslim georgia
muslim georgia
muslim georgia

შუამავალი გვასწავლის, რომ ღმერთმა უსამართლობა აკრძალა. (იხ. მუსლიმ, ბირ 55) ყურანში კი ნაბრძანებია: „უეჭველად, უსამართლონი ვერ იქნებიან ნეტარნი!“ (კასას 28/37) და რომელთაც უარყვეს, უთხრეს თავიანთ შუამავალთ: „თქვენ, უთუოდ, გაგაძევებთ ჩვენი მიწიდან ან, უთუოდ, ჩვენს რწმენას უნდა დაუბრუნდეთ.“ მაშინ შთააგონა მათ თავიანთმა ღმერთმა: „ჩვენ უსათუოდ აღვგვით უსამართლო ცოდვილთ! (იბრაჰიმ 14/13) ამრიგად უსამართლობის სასჯელი სასტიკია.

რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, ნებისმიერი ადამიანის მიმართ განხორციელებული ძალადობა, წამება, დამცირება იმდენად მიუღებელია, რომ კაცობრიობის დანაშაულადაა მიჩნეული. შუამავალი ყურანის საუკეთესო განმმარტებელი იყო და მისი ცხოვრება ყურანისეული ცოდნის პრაქტიკას წარმოადგენდა. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ შუამავალს არასდროს, არავის მიმართ ძალადობა არ განუხორციელებია. ის ბრძანებდა, რომ განკითხვის დღეს ყველაზე მძიმედ ისინი დაისჯებიან, ვინც ადამიანებს აწამებდაო. (იხ. იბნ ჰანბელ, 4/90) შუამავალი ასევე ბრძანებდა, რომ მჩაგვრელები ღვთის სასჯელს აუცილებლად იგემებენ (იხ. მუსლიმ, ბირ 117)

შუამავალი განსაკუთრებით ოჯახურ ძალადობას კრძალავდა. ის გვასწავლის, რომ ოჯახის წევრებმა ერთმანეთს დამამცირებლად არ უნდა მიმართონ და არ უნდა მოიქცენ ისე, რომ ოჯახში ჰარმონიასა და ურთიერთპატივისცემას რაიმე ჩრდილი მიადგეს. ის ქალებზე მოძალადეებს მკაცრად აფრთხილებდა. (იხ. მუსლიმ, ჯენნეთ 49) იმ ქმრებს, რომლებიც ცოლებს სცემდნენ კატეგორიულად აფრთხილებდა. შუამავალი ასევე კრძალავდა ბავშვებზე ძალადობას. (ვინც პატარებს არ შეიწყნარებს და უფროსებს პატივს არ სცემს, ჩვენიანი არ არის". (იხ. თრმიზი, ბირ 15)

Გ. ᲪᲧᲣᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲐ

სიმართლე, პატიოსნება და სანდოობა ისლამის ზნეობის საფუძველს წარმოადგენს. ადამიანი, რომელიც ტყუილს ლაპარაკობს და მიცემულ სიტყვას არ ასრულებს ცოდვას სჩადის და ამასთანავეის ღალატობს საკუთარ ღირსებას და მეორე მხარესაც შეურაცხყოფას აყენებს. მორწმუნის ზნეობაში ტყუილის ადგილი არ არის. ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„მხოლოდ სიცრუეს თხზავენ ისინი, რომელთაც არ სწამთ აიათების. და სწორედ ეგენი არიან ცრუნი!“ (ნაჰლ 16/105)

ცილისწამება კი სულ მცირე ტყუილის დონეზე სახიფათო და ამდენადვე ცოდვაა. მორწმუნე ადამიანი ვალდებულია დაიცვას სხვისი ღირსება და პატიოსნება, ისევე როგორც საკუთარს დაიცავს. პატიოსანი ადამიანების მიმართ ცილისწამება დიდი ცოდვაა. ეს ყურანითაა განმტკიცებული:

„უეჭველად, რომელნიც ცილს დასწამებენ პატიოსან მორწმუნე ქალებს, რომლებსაც შეცოდება არც კი გაუვლიათ გულში, დაწყევლილ იქნებიან ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაში და მათთვისაა უდიდესი სასჯელი!

იმ დღეს მათი ენა, ხელები და ფეხები მათ წინააღმდეგ დაამოწმებენ იმას, რასაც ისინი სჩადიოდნენ!“ (ნურ 24/23-24)

შუამავალი ბრძანებდა,რ ომ მუსლიმის ღირსებისა და ნამუსის ცილისწამებით შეურაცხყოფა დიდი ცოდვაა. (იხ. ებუ დავუდ, ედებ 35) ამრიგად შუამავალი გვაფრთხილებს, თუ რაოდენ დიდი ცოდვაა ცილისწამება. „ტალახი ესრო-

ლე, კვალი მიანც დარჩება“, ამ პრინციპით მოქმედი ადამიანები მრავალ ცილისწამებას ავრცელებენ და მათ უნდა იცოდნენ, რომ ძალიან დიდ ცოდვაში ვარდებიან. ასეთი დანაშაული შეიძლება ამქვეყნად არ გამჟღავნდეს, მაგრამ იმქვეყნად ასეთი დიდი ცოდვის გა აუცილებლად დაისჯებიან.

დ. ეჭვი და ჭორი

ადამიანის ღირსებისა და პატიოსნების შემლახველი კიდევ ერთი დამოკიდებულება ეჭვიანობა და ჭორია. წარმოიდგინეთ, როცა არ იცით სიმართლე და იქმნით წინასწარ უარყოფით აზრს, ფიქრობთ ცუდს, ვარაუდობთ, რომ კონკრეტული ადამიანი რაღაც ცუდის ჩამდენია, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა ადამიანის ღირსების შელახვაა და ის ანგრევს ურთიერთბებს.

ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავსებით მოერიდეთ ვარაუდს, რამეთუ ზოგი ვარაუდი ცოდვაა. და არ გამოიკვლიოთ ერთიმეორის შეცდომები და



როდესაც ადამიანი
დარწმუნებული არ არის
და ვარაუდს ან ეჭვს
აყოლილი იმოქმედებს,
ის აუცილებლად
დამარცხდება.

არ გაკილოს ზურგსუკან თქვენგან ზოგმა სხვები. განა სურს თქვენგან რომელიმეს, რომ მიირთვას ხორცი თავისი მკვდარი ძმისა? რა თქმა უნდა ვერ აიტანთ მას. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის! უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია“. (ჰუჯურათ 49/12)

შუამავალიც ბრძანებდა, რომ ეჭვი და ვარაუდი დიდი ტყუილია. (იხ. მუსლიმ, ბირ, 28)

როდესაც ადამიანი დარწმუნებული არ არის და ვარაუდს ან ეჭვს აყოლილი იმოქმედებს, ის აუცილებლად დამარცხდება. როცა ვინმეზე ეჭვით ან ვარაუდით ვისაუბრებთ და მის ღირსებას შევლახავთ, საჭიროა პატიების თხოვნა. თუ ჩვენი ვარაუდი გავრცელდა და ხალხში ჭორად გავრცელდა, ამით საქმე უფრო გართულდება.

ყურანში ასევე ნაბრძანებია:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაე, ერთმა ხალხმა არ დასცინოს მეორე ხალხს, იქნებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არც ქალებმა სხვა ქალებს, ეგებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არ მოსცხოთ ჩირქი ერთმანეთს და არ

მოუხმოთ ერთმანეთს შეურაცხმყოფელი მეტსახელებით. რწმენის მიღების შემდგომ რაოდენ ცუდია თვისებაა სისაძაგელე. ხოლო ვინც არ მოინანიებს, სწორედ, რომ ეგენი არიან უსამართლონი“. (ჰუჯურათ 49/11)

შუამავალიც გვაფრთხილებს, რომ სხვების სასაცილოდ აგდება და ცუდი მეტსახელების შერქმევა დიდი შეცდომაა. ასევე მიუღებელია სხვისი პაროდიის გაკეთება, რომელიც პიროვნებას ამცირებს. (იხ. თირმიზი, სიფათლ ყიამე. 51)

და ბოლოს, თვითკრიტიკა

ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანის შინაგანი ბუნება ყოველთვის მოტივირებულია, რომ თავი იმართლოს და სხვები დაადანაშაულოს. ამიტომაა ნათქვამი, სხვის თვალში ბეწვს ხედავენ და საკუთარში დირესაც ვერ ამჩნევენო. ამ გამონათქვამის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა ჯერ საკუთარ გულში უნდა ჩაიხედოს და თვითკრიტიკას მიმართოს და მერე გაიხედოს სხვებისკენ.

ამრიგად, ადამიანი არ უნდა მოერიდოს შემდეგი შეკითხვების დასმას:

ღმერთმა ადამიანი გააჩინა და ამავდროულად ღირსება უწყალობა. ნეტა, ამის გათვალისწინებით, სათანადოდ ვაფასებთ ადამიანს?

ღირსებასა და პატიოსნებაზე როცაა საუბარი, იმ დროს აქვს თუ არა მნიშვნელობა ჩვენთვის კონკრეტული პიროვნება ვინ არის, ახლო ნათესავია, მშობელია, ძმაა, დაა, ნაცნობია თუ ვიღაც უცხოა და მოქმედებს თუ არა ეს ჩვენს დამოკიდებულებაზე?

რაც არ გვსურს, რომ გაგვიკეთონ, ან ჩვენს შესახებ თქვან, იგივეს სხვას ვუკეთებთ ან სხვის შესახებ ვამბობთ? რამდენად ვაქცევთ ყურადღებას, რომ ეს ასე არ მოხდეს?

მუსლიმი ხომ ის ადამიანია, რომელის ენისა და ხელისგან ადამიანებს საფრთხე არ ემუქრებათ. მორწმუნე ადამიანი სხვის სიცოცხლესა და ქონებას უფრთხილდება (იხ. ნესაი, იმან, 8)

როდესაც ერთის მხრივ ამ ტიპის შეკითხვებზე ვფიქრობთ და სინდისის სა-

ცერში ვატარებთ, მეორეს მხრივ უნდა დავფიქრეთ, ხომ არავინაა ისეთი, ვისაც ვაწყენინეთ, ღირსება შევულახეთ, დავ-ცინეთ და ა.შ. ამის შემდეგ საჭიროა იმ ადამიანთან მისვლა და პატიების თხოვნა, რათა ამის გაკეთება საიქიოში, განკითხვის დღეს არ მოგვიწიოს.

ქონებისა და ღირსების საკითხში არ-სებული გაუგებრობების დროს, მორწ-მუნე ძმა ვადებულია გამოასწოროს დანაშაული. წინააღმდეგ შემთხვევაში განკითხვის დღეს, იმას უსამართლოდ ვინც მოიქცა მადლს წაართმევენ და უფლების პატრონს დაუბრუნებენ. თუ საკმარისი მადლი არ გააჩნია, მაშინ უსამართლობის მსხვერპლს ცოდვებს წაართმევენ და მას მიაწერენ. (იხ. თირმიზი, სიფათლ ყიამე. 2)